ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებ(ებ)ის (დამატებ(ებ)ის) შეტანას:

<u>**შეიცვალოს ხელშეკრულების 12.3.8 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**</u>

"12.3.8 კლიენტის მიერ ბარათით ATM, POS, E-Commerce_ით და ბანკში ტერმინალით ოპერაციის შესრულებისთანავე ბანკი ახორციელებს თანხის ბლოკირებას შესრულებული ტრანზაქციის თანხის შესაბამისად. ბლოკირებისას კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ბანკის მიერ საბარათე სისტემისთვის დადგენილი კომერციული კურსი. GEL/USD/EUR/GBP-სგან განსხვავებულ ვალუტაში ქსელის გარეთ შესრულებული ოპერაციებისათვის დამატებით გამოიყენება ,,ვიზას'' (VISA) ან ,,მასთერქარდის'' (MasterCard) მიერ დაწესებული კურსი. VISA/MasterCard ბარათით განხორციელებული ტრანზაქციები გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კლიენტის ანგარიშზე. კლიენტის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის სხვადასხვა დისტნციური არხების მეშვეობით"